„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2025 წელი ● №1-2 (9591-92) ● 1-31 იანვარი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

გიორგი ხახუბია ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, სენაკის და ხობის დელეგატი გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ვეფხვია ვეფხვაძეს შეხვდნენ და სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ. რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, 2024 წელს, სრულად განახლდა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა; რეაბილიტირდა სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო დერეფანი, ასევე განახლდა მცირე საკონცერტო დარბაზი. მეორე ეტაპის სამუშაოები მოიცავს პირველი და მეორე სართულების, სველი წერტილების, საკონფერენციო დარბაზისა და სასწავლო ოთახების სრულ რეაბილიტაციას. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და ღირებულება 391 599 ლარს შეადგენს. დღეს, საქართველოს პარლამენტის წევრი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ბელიაშვილის ქუჩის მოსახლეობას შეხვდნენ, განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს და განახლებულ მინი სპორტულ მოედანზე ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნენ. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ბელიაშვილის ქუჩაზე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით სპორტული მოედანი მოეწყო, ღირებულებით - 102 618 ლარი. პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა ხელოვნურსაფარიანი მოედანი, გარე განათების სისტემა, შემოღობვის კონსტრუქციები.

საერთაშორისო აღიარება

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, სენაკის და ხობის დელეგატი გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს" დირექტორს, ლუარა დგებუაძეს შეხვდნენ და საავადმყოფოში ჩატარებულ მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ. აღსანიშნავია, რომ შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფომ", პაციენტების უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის მიმართულებით, ამერიკის საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა. საავადმყოფოს საერთაშორისო აღიარება მოიცავს სამედიცინო მომსახურების ხარისხის დასავლურ სტანდარტთან შესაბამისობას და ითვალისწინებს პაციენტთა უსაფრთხოებისა და მოვლის ხარისხის მიმართულებით მუდმივ განვითარებას. რეაბილიტაციის პროექტი საავადმყოფოს ინფრასტრუქტურული მოწყობის ამერიკულ გაიდლაინებს დაეფუძნა. სენაკის ბავშვთა საავადმყოფოში, სარეაბილიტიციო სამუშაოები, ღირებულებით - 320 000 ლარი, 2024 წლის ივნისის თვიდან დაიწყო. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სრულად რეაბილიტირდა ორივე სართული, პოლიკლინიკა, სტაციონარი; საავადმყოფო აღიჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით. კლინიკა პაციენტებს, ერთ სივრცეში, მაღალი სტანდარტის შესაბამის ინფრასტრუქტურას და სამედიცინო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს.

ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. 25 547 500 ლარით განსაზღვრული ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი საკრებულოს წევრების ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

საკრებულოს სხდომას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან, დონარა ალანიასთან და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, რამაზ კუპრეიშვილთან ერთად დაესწრო.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 25 547 500 ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის ბიუჯეტთან შედარებით - 3 272 900 ლარით გაიზრდა, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით - 7 176 400 ლარით, 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით კი - 10 986 900 ლარით.

2025 წელს, დაფინანსება გაიზრდება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში: დასუფთავება და გარემოს დაცვა - 200 000 ლარით; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 177 00 ლარით; განათლების მიმართულება - 338 200 ლარით; მმართველობა და საერთო დანიშნულება - 845 600 ლარით; 2025 წელს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტი 303 300 ლარით იზრდება. გაიზრდება შემდეგი სოციალური პროგრამების დაფინანსება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა - 66 200 ლარით; მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა - 9 500 ლარით; მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების ქვეპროგრამა - 41 300 ლარით; ბავშვზე ზრუნვის პროგრამა - 13 800 ლარით; დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა - 1 000 ლარით; მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 53 000 ლარით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა - 44 600 ლარით; სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა - 7 100 ლარით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 8 600 ლარით; სოციალური ღონისძიებების პროგრამა - 22 200 ლარით; სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა - 10 500 ლარით.

2025 წლის პრიორიტეტებად რჩება ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, დასუფთავება და გარემოს დაცვა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წლის 23 იანვარს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ოთხი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების თაობაზე.

ოთხივე საკითხზე მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

***

2025 წლის 22 იანვარს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე.

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

ვახტანგ დავითაია-90

ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა



დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულ შვილს, სენაკის, ფოთის, თბილისის, ინდიანას შტატის ქალაქ მანსის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეს, არქიტექტორს, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოს მფლობელს ბატონ ვახტანგ დავითაიას.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მისი შემოქმედებითი გზა, რაც არაერთხელ გაშუქებულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. უამრავ საინტერესო მასალას იტევს მისი ავტორობით გამოცემული წიგნები, სტატიები, ქართულ და უცხოურ პროფესიულ გამოცემებში ხელოვანისადმი მიძღვნილი კორესპოდენციები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ამსახველი დღიურები, რეცენზიები განხორციელებულ პროექტებზე და სხვა.

სენაკის სავიზიტო ბარათია ქალაქის ცენტრალურ ბაღში აღმართული ,,ხსოვნის კუბი", რომელიც მიეძღვნა ომში დაღუპული სენაკელების ხსოვნას. კუბის მოწოდებაა - არასოდეს განმეორდეს ომის საშინელება.

რედაქციის სახელით ვულოცავთ ბატონ ვახტანგს 90 წლის იუბილეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას: ,,კოლხეთის დედის", ,,დაჭრილი არწივის", ,,გამარჯვების მონუმენტის", ,,მეზღვაურის მემორიალის", ,,ხსოვნის ტაძრის", ,,ალგეთის ბაზილიკის" და სხვა ნამუშევართა ავტორს. კვლავაც ნაყოფიერი და მშვიდობიანი დღეები დიდებულ სენაკელს.

„კოლხეთელები"

სახელოვანი და წარმატებული სენაკელი

კოლხურ, კოპწია ქალაქ სენაკში, 90 წლის წინ ,პედაგოგების ბატონ, ვლადიმერ (ლადო) დავითაიასა და ქალბატონ ლეონილა (ლოლა) ნიკურაძის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ვახტანგი შეარქვეს.

ახლობლები მას ჯემალით ვიცნობთ. ნიჭიერმა ახალგაზრდამ სენაკში წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისში ჩააბარა მისაღები გამოცდები.

ამ დღიდან ათეულობით წელი გავიდა. ბატონი ვახტანგი გახდა ცნობილი არქიტექტორი. უთვალავი პროექტის ავტორი და უნიკალური ნაგებობის შემოქმედი. როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. რისთვის დაიმსახურა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიები, გახდა კომკავშირისა და მინისტრთა საბჭოს პრემიების „ინტერარქების" შვიდგზის ლაურეატი. არჩეულ იქნა თბილისისა და სენაკის საპატიო მოქალაქედ. მიანიჭეს ხელოვნების დამსახურებული მუშაკის წოდება.

დიდი ხნის წინ, იაპონიაში, საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელსაც არქიტექტურაში ნობელის პრემიის ლაურეატები მონაწილეობდნენ, ვახტანგ დავითაიას გამოსვლას ,სხდომის თავმჯდომარემ, ინგლისელმა დენის შარპმა ასეთი შეფასება მისცა: ,,დიდი მადლობა პროფესორ ვახტანგ დავითაიას თავისი ქვეყნის უნიკალური კულტურის ასეთი იშვიათი, მომაჯადოვებელი და მგრძნობიარე წარმოჩენისთვის. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სიმპოზიუმის აღმოჩენა საქართველოა".

ლექციებს კითხულობდა აშშ -ში, ინგლისში, იაპონიაში, ევროპის ბევრ ქვეყანაში. საკუთარი კათედრა გახსნა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ზრდიდა და ზრდის ქართველს არქიტექტორებს. რომლებმაც უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ უნიკალური ნაგებობების შექმნაში.

არჩეული იყო საქართველოს არქიტექტურის საზოგადოების პრეზიდენტად. საამაყოა, რომ არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი წევრია.

მიუხედავად სამსახურებრივი მოუცლელობისა, იგი მუდამ იზიარებს მშობლიური რაიონის დიად გამარჯვებებსა და საწუხარი ამბები სტკენს გულს.

მისი თაოსნობით სენაკში აშენდა: ,,ხელოვნების გალერეა", შინ მოუსვლელთა მემორიალი „კუბი". დაიგეგმა ნოქალაქევში ბალნეოლოგიური სანატორიუმის შენობა (სამწუხაროდ მოვლენათა გამო ვერ განხორციელდა). საკუთარი ხარჯებით მომზადდა სახელოვანი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის ბარელიეფი წარწერით, „მადლობა ჭაბუა" და ქალაქში სამ ადგილას განთავსდა. რითაც გამოხატა პირადი და მკითხველთა მადლიერება მწერლისადმი ,მისი შემოქმედების ბრწყინვალე შედევრის, ,,დათა თუთაშხიას " გამო.

ეს გახლავთ მცირე ჩამოთვალი იმ კეთილი საქმეებისა, რაც გამოხატავს მის დამოკიდებულებას მშობლიური რაიონისადმი.

ბატონი ვახტანგი წლების მომრავლების მუხედავად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. საინტერესოა მისი პუბლიცისტური წერილები, რეს-პუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოცემული აქვს წიგნები, სადაც პირუთვნელად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

მისი სიტყვებია:

,,მუშნი ზარანდიას კრედო მისაღებია ჩემთვის - კაცი უნდა ეყოს ჯამაგირსო, რომ ამბობს. ვერ ვიტანან გულგრილობას, მიჩვენებით პატრიოტიზმს, პროფესიონალ მოლაყბეებს, ჩემი იდეალი იყო და არის შემდეგი: მახარებს, როდესაც იშვიათად, მაგრამ მაინც მესმის, ეს ვახტანგმა გააკეთა, ეს ვახტანგის დროს გაკეთდა, ვამაყობ ბევრი ჩემი მოწაფით- სტუდენტებით, მათი ხაზგასმული რიდითა და თავაზიანობით ჩემდამი".

ბატონი ვახტანგ დავითაია გახლავთ ერთ-ერთი იმ სახელოვან შემომქმედთა კოჰორტაში, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ სენაკში და მთელი თავიანთი ცხოვრება მიუძღვნეს ქართული კულტურისა და ხელოვნების აყვავებას. ამიტომ დაიმსახურეს საზოგადოების პატივი და ყურადღება.

მკითხველმა არ გამიგოს, რომ ახლობელ ადამიანს ვადიდებ და ვაქებ. ეს ჩემგან არ სჭირდება ბატონ ვახტანგის. ის დავითაიების საგვარეულოს თავმჯდომარეა და ღირსეულად ლიდერობს გვარს, რისთვის მადლობა მას და დიდხანს სიცოცხლე, რადგან მაგალითია კეთილშობილების, სიმედგრისა და ნიჭიერების.

პატივისცემით
ბორის დავითაია,
სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს
წევრი, სენაკის საპატიო მოქალაქე

90 წლის ღიღოსტატი, რომელსაც არასოდეს დაუსვენია!

ქართული არქიტექტურის გამოჩენილ ოსტატს, ვახტანგ დავითაიას ვულოცავ 90 წლის იუბილეს, მისი შემოქმედება ღირებული შენაძენია ქართული კულტურისათვის.

ირაკლი კოგახიძე

***

ძალზედ ბევრი ადამიანი გამახსენდება კეთილად კულტურის სამინისტროში მუშაობის პერიოდიდან, მათ შორის გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი ვახტანგ დავითაია ერთერთი პირველი იქნება ყოველთვის. მას დღეს 90 წელი შეუსრულდა, მისი საქმე უკვდავია, ის მოღვაწეა, მოღვაწეა, რადგან არასოდეს ისვენებს, როცა რომელიმე ქართულ პროექტს ან იდეას უჭირს; ის იმ დროს შრომობს, ხაზავს, წერს, დადის, ხსნის, მწარედ საყვედურობს, თბილად აქებს, ბრაზობს, ხარობს და ა.შ. ის ყოველი შეხვედრისას მასწავლებელიცაა მისდა უნებურად.

გილოცავთ, ბატონო ვახტანგ, დიდ იუბილეს! დღეგრძელობას გისურვებთ! მადლობას გიხდით ნდობისა და კეთილგანწყობისათვის!

თეა წულუკიანი

* * *

თქვენი მეგობრები, კოლეგები და ყოფილი მოსწავლეები მოგესალმებიან დიდ შემოქმედს, მოღვაწეს, არქიტექტორების მრავალი თაობების აღმზრდელს, დიდებულ პუბლიცისტს და გილოცავენ დაბადების 90 და არქიტექტურული შემოქმედების 70 წლისთავს.

თქვენ არქიტექტორთა იმ პლეადას წარმოადგენთ, რომელთაც საბჭოთა პერიოდში მოგიხდათ შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლა და უშუალოდ იწვნიეთ ,,ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური" არქიტექტურის, შემდგომ ,,ზედმეტობის აღმოფხვრის" სახელდებული უმწვავესი პროცესი და ხრუშოვიზმის ზეობა.

ტიპური პროექტირების და სამშენებლო ინდუსტრიალიზაციის მასობრივი დანერგვის პერიოდში, როდესაც თითქმის წარმოუდგენელი იყო შეგექმნა გამორჩეული, შენი ერის არქიტექტურულ ტრადიციებზე დამყარებული ახალი არქიტექტურა, პირველივე თქვენს შემოქმედებით ნაწარმოებებში დაამტკიცეთ, რომ კონცეპტუალურად ემიჯნებით უსახური არქიტექტურის (,,არქიტექტურა ბრმებისთვის" ვ. დავითაია) გიგანტურ მანქანას. თანაავტორებთან ერთად შექმნილი პროექტები ამის თვალსაჩინო მაგალითებია: ,,მზიური ველი" ბაკურიანში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მესტიაში, სოხუმში, კულტურის სასახლე ფოთში, სამხატვრო გალერეა ქ. სენაკში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები: წევაში, საგარეჯოში, პურის ქარხნები: ვაზისუბანში და თბილისის ზღვის რაიონში, ხელოვნების ცენტრი გულრიფშში, სკოლა 600 მოსწავლეზე სოფელ გავაზში; სკოლა 300 მოსწავლეზე სოფ. სამღერეთში, კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაი-ჩერქეზეთში, გამარჯვების მონუმენტი გორში; მემორიალი ,,დიდება შრომას" და დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში, ,,ხსოვნის ტაძარი" სოფ. მუხრანში; ,,ალგეთის ბაზილიკა" სოფელ ტბისში, ,,ხსოვნის კუბი" ქ. სენაკში, ,,მეზღვაურთა მემორიალი", ,,კოლხეთის დედა", ცოტნე დადიანის ძეგლი ქ. ფოთში, კულტურის ცენტრი ,,მთაწმინდა" თბილისში და მრავალი სხვა.

დასანანია, რომ არ განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი პროექტები- სოფლები ბისო, ხახმატი, ხორნაბუჯი, ხელოვნების სასახლე ფოთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. სოხუმში, ბალნეოლოგიური სანატორიუმი ნოქალაქევში, 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის კონკურსში გამარჯვებული მემორიალი თბილისში; აეროპორტის გზატკეცილის სივრცობრივ- მხატვრული ორგანიზაციის კონცეპტუალური პროექტი და სხვა მრავალი, რომელთა რეალიზაცია საქართველოს სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენდა მსოფლიოს ქვეყნებს შორის.

თქვენ ბრძანდებით რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს კომკავშირისა და მინისტრთა საბჭოს პრემიების, ,,ინტერარქების" შვიდგზის ლაურეატი.

ჩვენთვის საამაყოა, რომ თქვენ ხართ არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი წევრი.

თქვენი საავტორო გამოსვლები მსოფლიო ,,ინტერარქის" კონფერენციებზე, არქიტექტურულ ფორუმებზე, უცხოელ სტუდენტთა წინაშე, იყო არა მხოლოდ თქვენი და თანაავტორების ნამუშევართა ჩვენება, არამედ ქართული არქიტექტურის, კულტურის, ისტორიის გაცნობა მსოფლიო საზოგადოებისათვის.

ნიშანდობლივია თქვენი მეგობრის, სამწუხაროდ, აწ გასვენებულის, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილის შეფასება.

„მე არ მეგულება მსოფლიო არქიტექტურულ სივრცეში უფრო მნიშვნელოვანი ქართველი მოღვაწე ვიდრე ვახტანგია. თუ კი სადმე ვიყავი ვახტანგის ნაკვალევზე, ყველგან ღირსეულად იყო წარმოჩენილი ქართული არქიტექტურა, რადგან ამგვარად ვახტანგმა მიიტანა იქ. ამისთვის მთელი არქიტექტურული საზოგადოების დიდი მადლობა ეკუთვნის მას. მე თავს უფლებას მივცემ ჩემი ნაფიქრალი გაგიზიაროთ. ვახტანგი რეალურად იმ არქიტექტორთა მწყობრშია, როგორებიც იყვნენ გიორგი ლეჟავა, მიხეილ შავიშვილი, ქურდიანები.

არქიტექტურული საზოგადოება, ვინც კი გასულ საუკუნეში მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს, ვალში ვართ მასთან.

ბატონ ვახტანგ, შეუფასებელია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა, თქვენდა უნებურად საზოგადოებაში თავისთავად დამკვიდრდა ,,დავითაიას არქიტექტურული სკოლა".

სამაგალითო და განუმეორებელია თქვენი ზრუნვა გარდაცვლილი მეგობრების სახელის უკვდავსაყოფად. ქართველი საზოგადოება დიდად აფასებს თქვენს ღვაწლს მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, ჭაბუა ამირეჯიბის, რამაზ ჩხიკვაძის, ანზორ ერქომაიშვილის, დიმიტრი ალექსიძის, თენგიზ სუხიშვილის დანატოვარ შემოქმედებით მემკვიდრეობის დაცვა–შენარჩუნებაში.

ბატონო ვახტანგ, თითოეულ ჩვენგანს დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენთან მეგობრობა, რადგან ესაა მეგობრობა პიროვნებასთან, რომელიც მუდმივად მზადაა, გაგვიწიოს თანადგომა და თანაალმობა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ თარიღს, გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას.

მეგობრები, კოლეგები,
მოსწავლეები

გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა" №147,
20 დეკემბერი, 2024 წელი

პრემიერა სენაკის თეატრში

თეატრი ქართველი კაცის ეროვნული თვალსაწიერის ფორმირებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს დღესაც.

ერის სულიერ მამას, ილია ჭავჭავაძეს, თეატრის ეროვნული მნიშვნელობა წარმოუდგებოდა , როგორც ზნეობის განმასპეტაკებელი, ხალხის მწვრთნელი და გამზრდელი. იგი წერდა: ,,თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა და გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ".

2024 წელი სენაკის თეატრისთვის იყო უამრავი გამოწვევის, წარმატების, თეატრის აღორძინებისა და არამარტო სენაკის, არამედ რეგიონის მაყურებელთა სიმპატიისა და სიყვარულის დამსახურების წელი. მაყურებლით სავსე დარბაზი, ტაში და ოვაციები მთელი წელი არმოკლებია თეატრის მიერ წარმოდგენილ საინტერესო და მრავალფეროვან სპექტაკლებს. ყველა ამ წარმატების ავტორი და სულისჩამდგმელი გახლავთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მისმა თავდაუზოგავმა,დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და ნიჭიერი რეჟისორის, მაღალი , პროფესიონალიზმით დადგმული სპექტაკლებით სენაკის თეატრი დღეს ღირსეულ ადგილს იკავებს რესპუბლიკის სხვა პროფესიულ თეატრებს შორის.

2024 წლის დამაგვირგვინებელი იყო პრემიერა სპექტაკლისა ილია ჭავჭავაძის ,,კაცია- ადამიანი?!"რომელიც მიეძღვნა დიდი ილიას 187 წლის იუბილეს. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ვახტანგ ნიკოლავა.

სპექტაკლი გათვლილია ყველა თაობის მაყურებელზე. რეჟისორმა შეძლო შეექმნა საინტერესო წარმოდგენა ლუარსაბ თათქარიძესა და მის ოჯახზე, მაყურებლისთვის დაენახებინა მარადიული პრობლემა ადამიანის ცხოვრების არსისა, ეჩვენებინა მისი მანკიერი მხარეები.

სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს სენაკის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი თენგიზ თოფურიძე.

მსახიობი მხოლოდ კარგი მოთამაშე კი არა საინტერესო და მაღალზნეობრივი პიროვნება, დიდი მოქალაქე უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია ადამიანში ყველაზე ადამიანურის გამოღვიძება, პიროვნებად სრულქმნა. შეეძლოს პირადული, დიდი ტკივილი, სულიერი ტანჯვის უკანა პლანზე გადაწევა და მაყურებლის წინაშე საკუთარი თავის ღირსეულ მსახიობად და სრულყოფილ პერსონაჟად წარმოჩენა. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ ბატონი თენგიზი. მის მსახიობურ ნიჭიერებაზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, მაგრამ მის მიერ ლუარსაბ თათქარიძის როლის შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისმა მაღალმა პროფესიონალიზმმა, გარდასახვის საოცარმა უნარმა, დიდი მოწონება დაიმსახურა. თენგიზ თოფურიძემ ამ როლით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ იგი ნამდვილად საინტერესო მსახიობი და ძლიერი პიროვნებაა .

სპექტაკლში ,,კაცია-ადამიანი?!" თენგიზ თოფურიძეს ღირსეულ პარტნიორობას უწევს თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი თამუნა აბშილავა-კობახიძე, რომელიც ანსახიერებს დარეჯან გრძელიძეს, იგი მაღალი მსახიობური ოსტატობით, ზუსტად გადმოსცემს პერსონაჟის სულიერ სამყაროს და ცოლ-ქმრის უიღბლო, უღიმღამო ცხოვრების მაგალითზე საინტერესოდ წარმოაჩენს თავად აზნაურთა უაზრო ყოფას, რომელსაც მომავალი არ უწერია.

მოახლის საინტერესო, შთამბეჭდავი სახე შექმნა ახალგაზრდა უნიჭიერესმა მსახიობმა სოფი ჩალაშვილმა. იგი ანსახიერებს ლამაზისეულს, ამ პერსონაჟის მოქმედება თითქმის ლაიტმოტივად გასდევს მთელს სპექტაკლს. გარდასახვის უნარით, სიარულის განსხვავებული მანერით, საოცარი პლასტიკით მსახიობმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა მისი მაღალი პროფესიონალიზმი, უსაზღვრო ნიჭიერება, არჩეული პროფესიის სიყვარული. ამიტომაცაა, მის ყოველ გამოჩენას სცენაზე სიხარულით და ოვაციით ხვდება მაყურებელი.

ილია ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!" ტრაგედიაა, რომელიც ორ მოქმედებად მიმდინარეობს. სპექტაკლი გამოირჩევა ლამაზი სცენოგრაფიით, რომლის ავტორია მხატვარი -ლონგულ მურუსიძე, მხოლო მხატვარ-შემსრულებელი- მალხაზ კორთხონჯია. სპექტაკლის კომპოზიტორი - ლევან მიქელაძე, ულამაზესი კოსტიუმების მხატვარი -სოფი ჩალაშვილი, კოსტიუმების შემსრულებელი -მაკა კილასონია. შუქის მხატვარია - ლაშა ჟვანია, ხმის რეჟისორი-ხვიჩა ძველაია, გიორგი მურუსიძე.

სპექტაკლის წარმატება განაპირობა თეატრის შემოქმედებითი გუნდის ერთობლივმა, მიზანანმიმართულმა მუშაობამ, მათი საქმისადმი ერთგულებამ და ნიჭიერი მსახიობების მიერ, საინტერესოდ, განსახიერებულმა როლებმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ლადო კოკაია, ჯამბულ ჭანტურია, ლალი გაბელაია, ეთო მაღლაკელიძე, ეკა კოღუა, ზვიად ზურაბაშვილი, ტარიელ ზურაბაშვილი, ზურაბ ზურაბაშვილი, გიორგი მურუსიძე და თეატრის დრამატული სკოლა- სტუდიის აღსაზრდელები: რაულ კიკალეიშვილი, ამირან მალანია, თეკლა ბაბილუა, მარიამ შარტავა, ანასტასია ზუხბაია, ცოტნე კაცია, დიანა თურქია, ანა ნატრიაშვილი, ლუკა გრიგოლია.

ამ სპექტაკლამა ,ისე როგორც 2024 წელს დადგმულმა ყველა წარმოდგენამ , მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქართული თეტრის დღეს ვულოცავთ თეატრის შემოქმედებით ჯგუფს, ხელმძღვანელობას ტექნიკურ პერსონალს, თეატრის ყველა თანამშრომელს.

სენაკის თეატრს ვუსურვებ კიდევ უფრო მეტი წარმატებული და საინტერესო სპექტაკლებით გაემდიდრებინოს ჩვენი თეატრის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. არ მოკლებოდეს მაყურებლის სიმრავლე ტაში და ოვაციები.

მჯერა, რომ სენაკის თეატრი კვლავაც საინტერესოდ და ღირსეულად გააგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას და კიდევ ბევრჯერ,ძალიან ბევრჯერ გაახარებს ერთგულ მაყურებელს.

მარიამ ლიფონავა,
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო განყოფილების გამგე.

მილოცვები

***

ძვირფასო სენაკელებო! ჩვენი ქალაქი უძველესი ქალაქია საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში..სენაკში მდებარეობს არქეოპოლისი რომელიც ცნობილი იყო თავისი სიდიადით. სავარაუდოდ სწორედ არქეოპოლისი იყო, ის, ცნობილი ქალაქი აია, სადაც ოჯდა .მეფე აიეტი და სადაც მედეა დაიბადა. რამდენი შემოსევა ომი და უბედურება ახსოვს ჩვენს ქალაქს.. მიუხედავად ყველაფრისა მაინც გადარჩა და დღემდე მოვიდა.გადაურჩა ბოლშევიკურ რეპრესიებსაც, დახვრეტებს, გადასახლებებს და ასე შემდეგ... ყველაზე მტკივნეული მაინც სამოქალაქო ომი იყო როდესაც მხედრიონი თუ სხვა შეაირაღებული არაფორმალური ბანდები ბომბავდნენ და ძარცვავდნენ ჩვენს ქალაქს. სამეგრელოს სხვა ქალაქებთან ერთად სენაკელებმაც ვიწვნიეთ ომის, ნგრევის, სისხლისღვრის საშინელება და შიში. მაინც სულით არ დაეცა არ შედრკა ჩვენი ქალაქი. ფეხზე დადგა წელში გაიმართა. სენაკელებო, ჩვენ ყველაზე მეტად ვიცით მშვიდობის ფასი. ამიტომ. მოგიწოდებთ სიფრთხილისაკენ. თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი დაპირისპირება და შევინარჩუნოთ სენაკელობა. მინდა მოგილოცოთ ახალი წელი, გისურვოთ მშვიდობა და ბედნიერი დღეები. მრავალი ახალი წელი გაგთენებოდეთ ლამაზად, და უშფოთველად... უფალმა დალოცოს და დაიფაროს სრულიად საქართველო და ჩვენი პატარა, კოპწია ქალაქი.

ბადრი ხურცილავა

***

ახალი წელი ცხოვრების ახალი ფურცელია... დაე, მასზე არ დარჩენილიყოს ცარიელი ადგილები, შევსებულიყოს იგი ლამაზი ფერებით, მნიშვნელოვანი მოვლენებით და თავგადასავლებით. ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაბარებოდეს, ამ ახალ წელს კი დაგბედებოდეთ იღბალი, წარმატება და კეთილდღეობა.

ისიამოვნეთ თქვენი ცხოვრების ყოველი წამით საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. შემოსეთ ისინი სითბოთი ზრუნვით და უპირობო სიყვარულით ...

როგორც ამბობენ, ახალ წელს სასწაულები ხდება... გჯეროდეთ, თავისუფლად იოცნებეთ, იარეთ დასახული მიზნისკენ და აუცილებლად აგიხდებათ...

სულო სეფიაშვილი,
ჟურნალისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე

***

სენაკი - ეს ულამაზესი, კოპწია ქალაქი, ჩემი ოცნების, დაუსრულებელი მოგონებებისა და ნატვრის ქალაქია. მიყვარს სენაკი და სენაკელები, ყველაზე თბილი ,ნიჭიერი, განსაკუთრებული ადამიანები.....

ჩემს სენაკსა და სენაკელებს მშვიდობიანი, უბედნიერესი წარმატებული, მზეგრძელი 2025 წელი მინდა დაებედოს:

გილოცავთ თქვენსავით ნათელს და წრფელს- ამ ახალ სიხარულს, ამ ახალ წელს!"

მანანა ცომაია

***

ქართველი კაცი დასაბამიდან იმედით ხვდება ახალ წელს. იგი ხომ სურვილების, რწმენის დღესასწაულია.

ძვირფასო სენაკელებო, ემიგრანტებო, აქ დამკვიდრებულო ძირძველო აფხაზეთის შვილებო გილოცავთ იანვრის ულამაზეს დღესასწაულებს.

წარმატებების, წინსვლის, ჩვენი სამშობლოს გამთლიანება-გაძლიერების, საზოგადო და პირად ცხოვრებაში გამარჯვებებისა და კეთილდღეობის ყოფილიყოს 2025 წელი.

ღვთის უსაზღვრო წყალობა დაგბედებოდეთ.

დავით ცხომარია

***

ჩემო სენაკელებო, ბავშვებო, გილოცავთ ახალ 2025 წელს. მშვიდობა გქონოდეთ, ხვავი და ბარაქა იყოს თითოეული თქვენთაგანის ოჯახში. სიყვარულით, ბედნიერებით აღსავსე ყოფილიყავით.

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ნუ მოგაკლოთ უფალმა.

გეგა მურლულია,
სენაკის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე

ვულოცავთ!

ოჯახი ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედია. ოჯახი გქმნის, გაყალიბებს, თავს გაგრძნობინებს სრულყოფილად.

ოჯახური ბედნიერება და იდილია შთამბეჭდავია მაშინ, როდესაც გულს და გრძნობას-გონებასაც ურთავ. როდესაც გათავისებული გაქვს პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე.

ყველასათვის კარგად ნაცნობ სენაკელებს – ხათუნა შულაიას და კობა ჩხიკვაძეს ვულოცავთ დაქორწინებას. ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას.

ჯანმრთელობა, ხალისიანი დღეები და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. თქვენი ყველა დღე იყოს ,,ღირსეული ფიქრით გადაწყვეტილი და ღმერთის მიერ მოცემული მცნებებით აღსრულებული".

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია

სენაკის საპატიო მოქალაქეები

სენაკის საპატიო მოქალაქეები ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში.

ვულოცავთ მათ ამ საპატიო წოდებას, ვუსურვებთ წარმატებებს ცხოვრებასა და საქმიანობაში.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქციამ ერთი კითხვით მიმართა რესპონდენტებს. გთავაზობთ საპატიო სენაკელების მოკლე ბიოგრაფიებსა და პასუხებს. რებრიკის გაგრძელებას მკითხველს შევთავაზებთ უახლოეს ნომერში.

კითხვა: რას ნიშნავს თქვენთვის სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება?

დეკანოზი იოანე კუპრეიშვილი – სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის კეთილმოწესეს, დეკანოზ იოანე კუპრეიშ-

ვილს დამთავრებული აქვს სასულიერო სემინარია. 2000 წლის 7 ივლისს, ფოთის, სენაკისა და ხობის ეპისკოპოსის, მეუფე გრიგოლის კურთხევით სენაკის დედათა მონასტერში ხელდასმულ იქნა დიაკვნად და მსახურების ადგილად გამწესებულ იქნა ფოთის საკათედრო ტაძარში. 2001 წლის პირველი ივნისიდან დაინიშნა მეუფე გრიგოლის კურთხევით ძვ.სენაკის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მღვდლად და მასვე დაევალა ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა ტაძარში მსახურება და სოფელ ფოცხოს მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის მომზადება კურთხევისათვის.

2001 წლის 22 ოქტომბერს იოანე კუპრეიშვილი, ახალ ნაკურთხ სენაკის იოანე ნათლისმცემლის ტაძარში იქნა გადმოყვანილი მღვდელმსახურად.

2009 წლიდან საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტის, მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სენაკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის კეთილმოწესედ.

2009 წლის 30 დეკემბერს ილია მეორის N168 ბრძანების საფუძველზე, მღვდელი იოანე კუპრეიშვილი, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

2020 წლის პირველ ივლისს ილია მეორისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ, მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევითა და ილია მეორის N58 ბრძანების საფუძველზე, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის, სენაკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის კეთილმოწესე, დეკანოზი იოანე კუპრეიშვილი ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით...

- სენაკის საპატიო მოქალაქეობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. ჩემთვის ეს ქალაქი განსაკუთრებულია თავისი დიდი სულიერი ტრადიციებით და მაღალი კულტურით. ეს არის ქალაქი, სადაც მოღვაწეობდა ღირსი მამა ალექსი შუშანია. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის სულიერი მოძღვრის, შიო ძიძავასა და არქიმანდრიტ კონსტანტინე ქვარაიას, წმინდა დედებისა და მამების სულიერი მემკვიდრეობა არის ძალიან დასაფიქრებელი პირადად ჩემთვის. ყოველნაირად ვცდილობ სენაკში იყოს ქრისტიანული ცხოვრება და ადამიანებს შორის სიყვარული. ბედნიერი ვარ, რომ გახლავართ სენაკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მოძღვარი და თითოეული სენაკელის მსახური. მადლობას ვუხდი ქალაქის მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას და თითოეულ სენაკელს, რომელმაც მომანიჭა ესოდენ საპატიო ჯილდო მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მოგილოცოთ შობა-ახალი წელი! უფალს მოეცეს 2025 წელს მშვიდობა, კეთილდღეობა, თანხმობა.

მრავალჟამიერ სიცოცხლე თქვენ!

ომარ ძაძამია - დაიბადა 1943 წელს, სწავლობდა სენაკის



№2 საშუალო სკოლაში, 1960 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1966 წელს სპეციალობით სამკურნალო საქმე. ინსტიტუტის დამთავრების სწავლა გააგრძელა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ნერვულ სნეულებათა კათედრაზე ორდინატურაში.

1973 წლიდან მუშაობდა სენაკის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-ნევროლოგად, ხოლო 2000 წლიდან ნერვული განყოფილების უფროსად. 2013-2018 წლებში მუშაობდა ნევროლოგად შპს ,,სენაკის არქიმედეს კლინიკაში". ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შთამომავლობამ ნამდვილად უნდა იცოდეს რა შემოგვინახა უფროსმა თაობამ, როგორ ემსახურებოდნენ წინაპრები მოსახლეობის კულტურის, განათლების და ჯანდაცვის სფეროს. მიმაჩნია, რომ ჯანდაცვა ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა.

რამდენიმე ათეული წელი ვემსახურე ნევროლოგიის სფეროს. თითოეული სენაკელის ფიქრი, ემოცია, ტკივილი ჩემი ტკივილი და განცდა იყო. ნევროლოგია კლასიკური დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ნერვული სისტემების დაავადებების მიზეზებს. მე, როგორც ექიმი ყოველნაირად ვცდილობდი ღრმად ჩავწვდომოდი ყოველი პაციენტის დაავადებას, შედეგებიც ხელშესახები მქონდა ჩემი სამედიცინო პრაქტიკის მანძილზე.

მინდა ყველას ვუსურვო ჯანმრთელობა, ხალისიანი განწყობა, ბევრი, ბევრი პოზიტივი.

მადლობა ხელისუფლებას ამ საპატიო ტიტულის მონიჭებისათვის.

არმან თოდუა - დაიბადა 1946 წელს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1968 წლიდან დღემდე გააჩნია 56 წლის სამუშაო სტაჟი. ამ წლების განმავლობაში მიღებული აქვს არაერთი სააკავშირო

და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები შრომითი და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. ის 19878 წლიდან დღემდე მუშაობს ნოსირის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ ,,ბერმუხას" გამგეობის თავმჯდომარედ.

ბატონ არმანს მონაწილეობა აქვს მიღებული იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მშენებლობაში. არაერთი ქველმოქმედება აქვს გაწეული. დაჯილდოებულია ,,საპატიო ნიშნის ორდენით".

სიამაყის გრძნობით აღვივსე, როცა სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. ეს ორმაგი პატივია. როდესაც შენს მიერ განვლილ გზას აფასებენ.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გამიწია რეკომენდაცია, ხელმძღვანელობას ჩემი საქმიანობის შეფასებისა და დაჯილდოებისათვის.

ვულოცავ ყველას, ვისაც ჩემთან ერთად მიანიჭეს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება.

ამჟამად მყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი, ჩემი შეხედულებით პირნათლად ვემსხურე ჩემს ქვეყანას, ასევე ჩემს რაიონს და ოჯახს. მეამაყება, რომ ვარ ქართველი და ვარ სენაკელი. სანამ ცოცხალი ვარ მზად ვარ ვემსახურო ჩემს ქალაქს და ქვეყანას.

ნატო გრიგოლია – დაიბადა 1943 წელს ცხაკაიაში, ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის №2

საშუალო სკოლა. 1960-62 წლებში მუშაობდა სენაკის რაიონულ საავადმყოფოში სანიტრად. 1962 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1968 წელს. შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სენაკს, სადაც სხვადასხვა დროს მუშაობდა სკოლისა და ბაღის ექიმად, უბნის პედიატრად, 1970 წლიდან კი საავადმყოფოს სტაციონარული დეპარტამენტის ექიმ-პედიატრად. 2022 წლიდან იმყოფება დამსახურებულ პენსიაზე.

მრავალი ათეული წელი მოვანდომე პატარა პაციენტების ჯანმრთელობის დაცვას. ექიმის პროფესიონალიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია როგორც პაციენტებთან, ისე მათ მშობლებთან ურთიერთობა. ამას დიდი მონდომება სჭირდება. გულწრფელი ურთიერთობა მთავარია პაციენტის გამოჯანმრთელების გზაზე. ამიტომაც ამბობენ ექიმი კურნავს ცოდნით და სიტყვით. მიხარია, რომ ჩემი შრომა დაფასდა და მომენიჭა სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება. მადლობა სენაკის მერიას, ჩემს კოლეგებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მომცა რეკომენდაცია და წარმადგინა ამ ტიტულზე.

ასევე მინდა ყველა ჩემს თანაქალაქელს მივულოცო სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება.

განვითარება, წინსვლა, მშვიდობა და თანხმობა ჩემს მშობლიურ ქალაქს.

თინაზი დარასელია – დაიბადა სენაკში, დაამთავრა რკინიგზის სკოლა ინტერნატი, იმავე წელს სწავლა გააგრძელა ა.ს.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფოპედაგოგიურ ინსტიტუტში ,,დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკის სპეციალობაზე", დამთავრების შემდეგ მიენიჭა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1971 წელს მუშაობა დაიწყო ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ბაგა-ბაღში, 1987 წელს გადაიყვანეს ცხაკაიას მესამე საბავშვო ბაღის გამგედ, რომლის სახელწოდება დღეს არის ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების №2 საბავშვო ბაღი. დღემდე არის აღნიშნული ბაღის გამგე. აქვს 53 წლის მუშაობის სტაჟი.

ბავშვის აღზრდა და განვითარება სწორედ ბაღიდან იწყება. ჩემთვის საბავშვო ბაღი და თითოეული პატარა, ჩვენი მომავალი თაობა, მთელი სამყაროა, ნავთსაყუდელი, სულის ნაწილი. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ყოველი დილა სწორედ იმიტომ მახალისებს, რომ სიანცე და სიმორცხვე შეპარული ჩემი პატარები უნდა ვნახო, მათთან ერთად გავიზიარო ყველა მათი წარმატება...

საპატიო მოქალაქეობა ჩემთვის პირველ რიგში არის დაფასება და ამავდროულად პასუხისმგებლობა. ვაფასებ ამ ღირსეული ჯილდოს მონიჭებას და მიმაჩნია რომ ჩემი წარსული წლები სწორად განმივლია.

ეკა გაბუნია – დაიბადა 1956 წელს (მაშინდელ ცხაკაიაში). 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1982 წელს მუშაობა დაიწყო რაისაბჭოს აღმასკომის იურისკონსულტად, 1987 წელს დაინიშნა რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1993 წელს გადაიყვანეს ადგილობრივი მმართველობის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და კანცელარიის გამგედ. იმავე წელს დააწინაურეს გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და პარალელურად შეუთავსეს სოციალური დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეობა. კურირებდა განათლების, კულტურის,

(გაგრძელება მე-5 გვ.-ზე)

(დასასრული)

სენაკის საპატიო მოქალაქეები

მედიცინის, სპორტის სფეროებს, ასევე ლტოლვილთა კომიტეტს. სამსახურეობრივი საქმიანობა შეწყვიტა 2004 წელს. ჰყავს მეუღლე ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

არ მეგულება ადამიანი, რომლისთვისაც უდიდესი პატივი არ იყოს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება, არც მე ვარ გამონაკლისი. გამაბედნიერა იმ ფაქტმა, რომ ჩემი მოკრძალებული შრომა დააფასა ისეთმა გამორჩეულმა და ამბიციურმა ქალაქმა, როგორიც სენაკია. სენაკი ხომ ქალაქი ,,ბრენდია" – სამეგრელოს მარგალიტი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო იმ საოცარ გუნდს, რომელთანაც ერთად ვმუშაობდი, ისინი ამ ჯილდოს თანაზიარნი არიან, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც გამიხსენა, დამაფასა და მომილოცა, ქალაქის მერს ბატონ ვახტანგ გადელიას, იმათ ვინც რეკომენდაცია გამიწიეს და ჩემი შემოდგომის ზამთარი გამილამაზეს.

პირველად ჩემს ოჯახში საპატიო სენაკელის წოდება ბატონმა შოთა ჩიქობავამ მიიღო, ვიმედოვნებ, რომ ჩემი შთამომავლობა ღირსეულად გააგრძელებს წინაპრების გაკვალულ გზას და კიდევ ბევრი ჯილდო დაამშვენებს ჩემი სახლის კედლებს. ეს ჯილდო მივიღე ომში, შიმშილში, ნგრევასა და უბედურებაში (90-იან წლებში) გაწეული ჯაფისთვის; ვუსურვებ მომავალ თაობებს, რომ ჯილდოები მშვიდობის, ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის მიეღოთ.

და ბოლოს უღრმესი მადლობა უსაყვარლეს, უდიდესი წარსულის მქონე გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციას გახსენებისთვის და დაფასებისთვის. წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მარინე აბრამია **დაიბადა 1955 წელს ქალაქ ცხაკაიაში. წარჩინებით დაამთავრა მესამე საშუალო სკოლა. ჩაირიცხა ალექსანდრე წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის ბიოლოგიის სპეციალობაზე და 1976 წელს მიენიჭა ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო პირველ საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1978-86 წლებში არჩეული იყო რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ თანამდებობაზე (საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად, პირველ მდივნად). 1986-88 წლებში ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მდივანია.**

1988-2004 წლებში მუშაობდა კულტურის განყოფილების გამგედ, 2004 წლის 1 დეკემბრიდან კი ჟიული შარტავას მუზეუმის დირექტორად. 2015-2017 წლებში ამავე მუზეუმში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზეა, ხოლო 2017 წლის მარტიდან სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტია. სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას, დამსახურებული აქვს ზემდგომი ორგანოების ჯილდოები.

ქალბატონი მარინე 20 წელია მუზეუმის მეცნიერ-მუშაკებთან ერთად ემსახურება მუზეუმის დამთვალიერებელთა დიდ არმიას, აცნობს მათ საქართველოს ეროვნული გმირის, ბატონი ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების ცხოვრებისეული გზას, საგმირო საქმეებს, ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

აქტიურად მონაწილეობს სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

თითოეული ადამიანის ცხოვრებაში დროის სხვადასხვა პერიოდში არის დღე, სხვებისგან გამორჩეული, რომელსაც ძალიან დიდ სიხარულთან ერთად, დიდი მღელვარება ახლავს თან. 2024 წლის 12 ნოემბერი ჩემი ცხოვრების მატიანეში ასეთ დღეთა სათვალავში შევიდა, დღე, როდესაც ,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაულზე, ნოქალაქევში, არქეოლოგიურ მუსეუმ-ნაკრძალის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მოწყობილ დღესასწაულზე, ხანგრძლივი და წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 12 პიროვნებასთან ერთად,, მომენიჭა სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება. საპატიო სენაკელის მედალი და სიგელი გადმომცა ბატონმა გიორგი ხახუბიამ.

ეს არ არის მარტო ჩემი ჯილდო, ეს იმ გუნდის ჯილდოცაა, რომელთანაც ვმუშაობდი წლების განმავლობაში წარსულში და ვმუშაობ დღესაც.

მადლობა ხელმძღვანელობას ჩემი შრომითი ბიოგრაფიის დაფასებისათვის, ამ საპატიო ჯილდოსათვის. მომავალშიც ლამაზი საქმეების ორგანიზება იქნება ჩემი ცხოვრების მეკვლე და მეგზური.

რას ნიშნავს ჩემთვის სენაკის საპატიო მოქალაქეობა? უპირველესი ყოვლისა, ნიშნავს ჩემი მოკრძალებული შრომის დაფასებას და ყურადღებას. ვთვლი, რომ ნაწილი ვარ სენაკის ღირსეული საზოგადოებისა, რაც მიბიძგებს კიდევ უფრო ძლიერად მიყვარდეს ჩემი ქალაქი, ქალაქელები და მთლიანად საქართველო. სასიამოვნოა, როცა დგები იმ დიდებული ადამიანების რიგში, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს არა მხოლოდ სენაკისათვის, არამედ საქართველოსათვისაც. სენაკი ჩემთვის გადაშლილი წიგნია, რომლის გაცნობა სკოლის ასაკიდანვე დავიწყე და დღემდე სიამოვნებით ვეცნობი და ვცდილობ საკუთარი ფერადოვნება შევძინო მას.

ადამიანის სიდიადე შრომაშია და რაც უფრო მხურვალეა მისი სიყვარული შრომისადმი, მით უფრო დიდია თვით ადამიანი, მით უფრო ნაყოფიერია და მშვენიერია მისი გარჯა და გარჯის შედეგიც.

სენაკის საპატიო მოქალაქეობა გახლავთ პატივი, აღიარება და დაფასება მოკრძალებული წვლილისათვის, რაც მიფიქრია, გამიკეთებია და მიზრუნია ჩემი ქალაქისათვის, ამასთან მომავალში რაც უნდა გავაკეთო. ეს არის დიდი პასუხისმგებლობაც, რომ მეტი ენერგიით შევასრულო ჩემი მოვალეობა და ვიყო სასარგებლო სენაკისათვის.

ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობაა საქართველოს ეროვნული გმირის-ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების წარმოჩენა, მათი დიდი ღვაწლის მომავალი თაობისათვის გაცნობა. ომში დაღუპულთა გმირობის წარმოჩენა, მათი ხსოვნისადმი პატივის მიგება, ჩემი ცხოვრების ნათელი შარავანდედია, გმირთა ოჯახის წევრებთან ურთიერთობა კი-ჩემი უდიდესი სიამოვნებაა.

კიდევ ერთხელ მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც წარმოადგინეს ჩემი კანდიდატურა და დამდეს პატივი ვყოფილიყავი სენაკის საპატიო მოქალაქეთა რიგებში.

მოამზადა მაია გერგაიამ

პაციენტების შეუცვლელი და უსაყვარლესი ექიმი

ყოველი პროფესია თავისთავად საპატიო და საპატივცემლოა, რადგან თითოეული მათგანი ადამიანის შინაგან მოწოდებას პასუხობს და საბოლოო ჯამში საზოგადოების, ქვეყნის განვითარებას ემსახურება. დიახ, როცა პიროვნების მოწოდება პრაქტიკაში სხეულდება, იგი სრულყოფს თავის უნარებს და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას ეწევა. ერთი სიტყვით, პიროვნებაც იზრდება და საქმეც იგებს, რადგანაც ეს გზა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, თვითდამკვიდრების, ნოვაციების, აღმოჩენების, წარმატებების გზაა.

ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი – ირაკლი გოგინავა – სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც თავის საყვარელ საქმეს ემსახურება და მასში სულსა და გულს დებს. ამიტომ მისი კარიერული გზა აღმავალია და მიღწევებით გაჯერებული. ის წლოვანებით ოთხ ათეულზე ცოტა მეტია, არადა ამ ასაკში მედიცინაში საკუთარი სათქმელი თქვა – სიახლეც დანერგო და წარმატებითაც იღვაწო, ადვილი არაა. რაც შეეხება ადამიანურ ფაქტორს, მისი კაცთმოყვარეობა, გულისხმიერება შესაშურია, ამიტომ პაციენტების უპირობო სიყვარულით სარგებლობს. მათი თქმით: ირაკლი და მისი მეუღლეც განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოვებული ექიმები არიან, რომლებიც დაუღალავად ზრუნავენ ავადმყოფის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ამიტომ აუცილებელია მათ საზოგადოება იცნობდეს და აფასებდნენო.

ირაკლი გოგინავა სენაკელია, 1996-1999 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯში, ხოლო 1999-2004 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 2008-2010 წლებში ხარჯვის დიპლომის შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიაში გაიარა კლინიკური ორდინატურა, სპეციალობით – ორთოპედია-ტრამვატოლოგია. 2009 წელს კი ხარჯვის დიპლომის შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემია-მტევნის ქირურგიის ინსტიტუტი. რაც შეეხება სასწავლო კურსებს, რაოდენობიდან გამომდინარე ყველას ვერ ჩამოვთვლი, დაგისახელებთ რამოდენიმეს: ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ სიტენკოს სახელობის სახსრებისა და ხერხემლის პათოლოგიის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვერდენის სახელობის ტრამვატოლოგიისა და ორთოპედის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ამერიკის მტევნის ქირურგიის ასოციაცია, იმპლანტკასტის სასწავლო ცენტრი და ა.შ. 2006 წელს ირაკლი გოგინავა მუშაობას იწყებს ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში მიმღებ ექიმად, 2007 წლიდან კი კრიტიკული მედიცინის განყოფილების უმცროსი ექიმია, 2010-12 წლებში შპს ქართული ფოლადის ,,სამკურნალო ცენტრის" ექიმ ორთოპედ-ტრამვატოლოგი, 2010-13 წლებში სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის" ჯანმრთელობის - ექსპერტ-ანალიტიკოსი, 2011-13 წლებში მრავალპროფილური კლინიკა ,,ჰერა 2011"-ის ექიმ-ორთოპედ-ტრამვატოლოგი, 2013-14 წლებში შპს ,,იმერეთის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფოს" სამედიცინო მენეჯერი, 2014-15 წლებში ევექსი ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალის კლინიკური დირექტორი, 2015-22 წლებში კი გენერალური დირექტორი, 2022 წლიდან დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის მენჯის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელია. არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სესიის ხელმძღვანელი და გამოგონებათა ავტორი.

2024 წლის ნოემბერში ირაკლის სენაკის საპატიო მოქალაქის სტატუსი მიენიჭა, ამასთან დაკავშირებით, ნიჭიერ და დამსახურებულ ექიმს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ბატონო ირაკლი, სენაკის მრავალრიცხოვან საპატიო მოქალაქეთა შორის უკვე თქვენი სახელიცაა, გაგვიმხილეთ თქვენი ემოციები. როგორ გრძნობთ თავს აღნიშნულ ამპლუაში?

ძალიან საპასუხისმგებლო და საამაყოა ჩემი მშობლიური ქალაქის საპატიო მოქალაქედ რომ წარმადგინეს. ეს განსაკუთრებული ემოციაა.

საინტერესოა თავიდან პროფესიის არჩევისას რა იყო თქვენთვის მამოტივირებელი, ანუ როგორ მიხვედით იმ დასკვნამდე, რომ თქვენი მოწოდება ექიმობა იყო?

-ჩემი პროფესიის არჩევაში დიდი წვლილი აქვს ჩემს მშობლებს, რადგან ისეთ ასაკში გვიწევს პროფესის არჩევა, როცა ბოლომდე ვერ აცნობიერებ თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის საქმე. თუმცა უნივერსიტეტში და რეზინდენტურაში სწავლისას უკვე ნელ-ნელა შემიყვარდა და ბოლოს ავად გავხდი საექიმო საქმიანობით, რადგან ექიმობა მოითხოვს თავგანწირვას 24/7 ზე, თუმცა ის ემოცია და მადლიერება რაც მუდმივად მოდის პაციენტებისაგან გავსებს ძალით, ენერგიით და საბოლოოდ გხდის დამოკიდებულს ამ ურთიერთობაზე.

ზოგადად როგორია თქვენი სამუშაო გრაფიკი? როგორც ვიცით მეუღლეც ექიმია და ერთად ეწევით სამედიცინო საქმიანობას, რეგიონებსაც სტუმრობთ.

-ბოლო 10 წელია ჩემი სამუშო გრაფიკის გარეშეა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ვმუშაობ კლინიკაში და პარასკევიდან გავდივარ კონსულტაციებზე და ოპერაციებზე სხვა და სხვა რეგიონში. კონსულტაციებს ვატარებ თბილისში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში, ახალციხესა და ახალქალაქში. თვეში ერთხელ ოპერაციები ტარდება თბილისში, ბათუმში და ახალციხეში. ჩემი მეუღლე ტრავმატოლოგია-ორთოპედიის ექიმი რეზიდენტია, აქტიურადაა ჩართული პაციენტების მკურნალობის პროცესში.

-წელიწადში მე და ჩემი გუნდი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ვატარებთ 550-600 ოპერაციას და კონსულტირებას ვუწევთ 2400-2500 პაციენტს.

თქვენი საქმის ისეთი პროფესიონალი ბრძანდებით, პაციენტების სიყვარულს, ნდობას, პატივისცემას რომ იმსახურებს. რა არის ის მახასიათებელი, რომელმაც ასეთი აღიარება მოგიპოვათ?

-მე დაავადებული ვარ ჩემი პროფესიით, ეს სიყვარული პოთოლოგიურია და ამას პაციენტიც გრძნობს და აფასებს.

თქვენი დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე გვაინტერესებს თავისუფალი დრო თუ გაქვთ?

-როგორ გითხრათ, ერთი ქალაქიდან მეორეში როცა მივდივარ, ამ დროს თუ ჩავთვლით თავისუფალ დროდ, კი. რაც შეეხება შვებულებას, ვცდილობ ისე დავგეგმო, რომ რაიმე სწავლების კურსს ან კონფერენციას დავამთხვიო.

თქვენი სურვილები სენაკელებისადმი?

-მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება, მშვიდობა და სიყვარული გულში, სულში, სახლში და ქვეყანაში. ღმერთი გვფარავდეთ მრავალჟამიერ.

ირაკლი, სენაკელებისათვის კარგად ნაცნობი, კეთილშობილი ადამიანების – ბორის გოგინავასა და მარინა კვირკველიას შვილია. მისთვის ოჯახში შეძენილი უნარები, ტრადიციაზე, პროფესიულ სიმწიფეზე, მოყვასისადმი დამოკიდებულებაზე... უმნიშვნელოვანესია. სწორედ ოჯახიდან გამოყოლებული მადლის საფუძველზე მან შეძლო საგანმანათლებლო და პრაქტიკული საქმიანობის სივრცეში სწორად განესაზღვრა პრიორიტეტები და მოეპოვებინა საჭირო ცოდნა. დღეს იგი არის შესანიშნავი მამა და მეუღლე, საზოგადოებაში პატივდებული ადამიანი და თავისი საქმის პროფესიონალი, და კიდევ - პაციენტებისთვის შეუცვლელი და უსაყვარლესი ექიმი.

უმრავლოს სენაკს ასეთი ღირსეული ადამიანები უფალმა.

ნინო სართანია

რამდენიმე უცნობი ფაქტი გალაკტიონის მუზის - მერი შარვაშიძისა და მისი ოჯახის სენაკურ ისტორიაზე

ამ პუბლიკაციით მინდა მოგითხროთ, ყველასათვის კარგად ცნობილ, ულამაზეს მერი შარვაშიძეზე, ლეგენდაზე, რომელსაც დიდი გალაკტიონის „მუზა" ჰქვია.

ის და მისი ძმები ჩვენს პატარა ქალაქ სენაკში დაბადებულან და გაზრდილან, რაც ახლახან საოცარი აღმოჩენით გახდა ცნობილი

მოგიყვებით, როგორ მოხდა ეს აღმოჩენა, გაგაცნობთ ჩვენს მიერ მიკვლეულ დოკუმენტურ მასალას, რომელიც საზოგადოებისთვის ადრე უცნობი ფაქტებით ცხადჰყოფენ გალაკტიონ ტაბიძის შედეგრის ადრესატის, არისტოკრატიზმისა და სილამაზის ეტალონის, თავადის ასულ მერი შარვაშიძისა და მისი და-ძმების სენაკურ წარმომავლობასა და ოჯახურ ტრაგედიას.

გეტყვით სადაა მერის პატარა ძმებისა და მამის, გენერალ-მაიორის პროკოფი შარვაშიძის საფლავები სენაკში. ეს უაღრესად საინტერესო აღმოჩენაც ამ დოკუმენტების პოვნას მოჰყვა.

ახლა კი, იმდროინდელ სენაკსა და იმ გარემოზე, რომელიც მერის განუმეორებელ ხიბლსა და არისტოკრატიულობას ედო საფუძვლად.

სენაკი -პატარა და ლამაზი ქალაქია დასავლეთ საქართველოში, არც ისე დიდი, მხოლოდ საუკუნენახევრიანი, მაგრამ საოცრად მდიდარი წარსულით, საინტერესო არქიტექტურული ძეგლებით, უამრავი ცნობილი და ისტორიული პიროვნებით, განათლებული მოქალაქეებითა და ინტელიგენციით გამორჩეული.

მისი წარმოშობა რკინიგზის დაარსებას უკავშირდება:

„ფოთი-თბილისის" რკინიგზამ, რომლის მშენებლობა, 1871წელს ფოთიდან დაიწყო, პატარა დაბა სენაკზე გაიარა და სოფელი თანდათან ქალაქური ტიპის დასახლებულ პუნქტად გარდაქმნა, რასაც თეკლათელი თავადი მხეიძეების მონდომებამ და ინიციატივამ შეუწყო ხელი. უფრო ზუსტად კი, სენაკი-ფოთის რკინიგზის მშენებლობის ერთ-ერთი დამფინანსებელი გახლდათ მერის ბაბუა-დედის მამა-თავადი გრიგოლ ბეჟანის ძე მხეიძე, მდიდარი მრეწველი, სენაკის მაზრის უფროსის, კორნელი ბოროზდინის თქმით კი, „აქაური როტშილდი".

აქ, ნოვო-სენაკში სრულიად ახალი ტიპის ცხოვრების დასაწყებად და საცხოვრებლად ჩამოვიდნენ მაზრის სოფლებიდან გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები,ამას დაემატა ისიც-,რომ 1882 წელს მარტვილიდან აქ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელიც გადმოიტანეს და ქალაქს სამღვდელოება, სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლებიც შეემატა.

თედო სახოკია იგონებდა:,,სენაკი ცენტრალურ... ადგილად ითვლებოდა მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისათვის. აქ იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის სადგური. მისვლა-მოსვლა თბილისს, ქუთაისსა და სხვა რკინიგზის ხაზზე მდებარე ადგილებთან , მარტვილთან შედარებით ერთი-ათად გაადვილებული იყო. აქ იყო სხვადასხვა დაწესებულებები მაზრისა:აფთიაქი, ორკლასიანი სასწავლებელი,ხაზინა, აბანო,სატუსაღო... იყო ბუხრიანი სახლებიც. სენაკელები მზის სინათლეს არ ჯერდებოდნენ და ღამით ხელოვნურად ანათებდნენ დაბას ნავთის ლამპებით..."

ასეთი იყო ეს პატარა დაბა, მაგრამ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ახალი სენაკის მაშინდელი არისტოკრატია, როგორი იყო გარემო და ყოფა, სადაც დაიბადა და იზრდებოდა „კნიაჟნა" მერი. ვინ იყვნენ და რა საზოგადოებაში ტრიალებდნენ მისი მშობლები, რომელთაც აღზარდეს არა მარტო საოცარი სილამაზით, დახვეწილი მანერებითაც გამორჩეული ასული, რომელიც შემდეგში რუსეთის საიმპერატორო კარის მეჯლისებისა და საღამოების მშვენებას წარმოადგენდა.

კორნელი ბოროზდინი თავის მემუარებში წერს: აქაური არისტოკრატები „ქორწილსა და ტირილს დიდის ამბით იხდიდნენ. თავისუფალ დროს საღმრთო წერილს, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", ჩახრუხაძისა და სხვა ძველ მოლექსეთა ლექსებს, აგრეთვე არისტოტელის და პლატონის თარგმანებსა კითხულობდნენ. ქალებმა

უფრო იცოდენ წერა-კითხვა მათს შორის მშვენიერი ხელობაც იყო გავრცელებული, ოქრომკედით კერვა...მათი ქმრები და ძმები თავისუფლების დროსავე სანადიროდ დადიოდნენ, ჯირითსა და მარულასა ჰმართავდნენ.

ახალმა დროებამ სიახლეებიც მოიტანა: 1890 წელს აქ გაიხსნა საქართველოში ერთ-ერთი პირველი სტამბა, სადაც იბეჭდებოდა სხვადასხვა წიგნები, მათ შორის ,,ვეფხისტყაოსანი";

რკინიგზის სადგურის უფროსად აქვსენტი ცაგარელის დანიშვნამ და მისი მეუღლის, ნატო გაბუნიას მონდომებამ საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ ცხოვრებას სენაკში. თავიდან სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენები იმართებოდა მერის ბიძების, თავადების, ფარნაოზის, ბესარიონისა და დიმიტრი მხეიძეების ოჯახებში.

ქალაქის შუაგულში კი იდგა წმ.გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც ყოველ კვირა დღეს წირვა-ლოცვა ტარდებოდა და საკმაოდ ბევრი ხალხი ესწრებოდა.

სწორედ ასეთი იყო ის პატარა ქალაქი, სადაც 1886 წლის მაისის თვეში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ამ ტაძარში ჯვარი დაიწერეს აფხაზეთის მთავართა შთამომავალმა, 47 წლის არტილერიის კაპიტანმა, თავადმა პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძემ და სენაკელი თავადის, გრიგოლ ბეჟანის ძე მხეიძის 23 წლის ასულმა, ნინომ. ქორწილს ესწრებოდნენ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები: შტაბს კაპიტანი რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე დავით ხორავა, თავადი კოწია გიორგის ძე დადიანი-ბატონიშვილ მაია დადიანის უმცროსი ძმა, სენაკის ადმინისტრაციის მოხელე ბესარიონ ქავთარაძე, თავადი კოწია ალექსანდრეს ძე ერისთავი და სხვები.

უეჭველია, რომ ამ ჯვრისწერაზე მოწვეულნი იყვნენ პროკოფი შარვაშიძის გარდაცვლილი ძმის -სამსონ შარვაშიძის მეუღლე სალომე ჩიჩუა-შარვაშიძე და შვილი ელენე(-შემდეგში ფრეილინა და სოხუმის ქალაქის თავის-გრაფ სოლოგუბის მეუღლე). ასევე პროკოფის დის-სოფიოს და ტარიელ დადიანის შვილები: მარგარიტა, მიხეილი,ლევანი და ნინო.

პატარძალი- ნინო მხეიძე გახლდათ ზემოთ არაერთხელ ნახსენები, სამეგრელოსა და სენაკში საკმაოდ პატივსაცემი მხეიძეების გვარისა და ოჯახის შვილი.

საინტერესოა, თანამედროვეთა რამდენიმე მოგონება ამ ოჯახზე. მათ შორის კ.ბოროზდინი ასე ახასითებს ნინოს მამას: ,,...სხვა მხეიძეებიც გავიცანი, ამათგან ყველაზე მდიდარი გრიგოლ მხეიძე იყო (ივანეს ძმა), რომელსაც იჯარით ჰქონდა ომის დროს სურსათის ძლევა და ამით 100.000 მანეთზე მეტი მოიგოო. აქაურს როტშილდს სახლიც ევროპულადა ჰქონდა მორთული. მხეიძენი მომეტებულად ხე-ტყის წარმოებითა სცხოვრობდენ. თავის მდიდარ და ვრცელ ტყიდან მდ. ხობის-წყლითა და რიონით ხეები და ფიცრები გაჰქონდათ ზღვის ნაპირად გასასყიდად. საზოგადოდ, ეს გვაროვნობა ერთ შეძლებულ გვაროვნობად ითვლებოდა".

ხოლო შალვა დადიანი თავის წიგნში „რაც გამახსენდა" ნინოს ძმებზე - დიმიტრი და ბესარიონ მხეიძეებზე წერს: „... მათი ოჯახი იყო დიდად სტუმართმოყვარე და ხსენებულ ორ ძმას სიკვდილამდე ეჭირათ მაშინდელ დროისთვის თვალსაჩინო თანამდებობა. ერთი, დიმიტრი ჩემსობას იყო თითქმის უცვლელი წინამძღოლი სენაკის თავადაზნაურებისა, და მეორე, ბესარიონი, მომრიგებელი შუამავალი. იმავ დროს ორივ რუსის არმიის ნასწავლი ოფიცრები იყვნენ. საზოგადოებაშიაც დიდი გავლენა ჰქონდათ და უმეტეს წილად საზოგადოებრივი საკითხები სენაკის მაზრაში მათი გავლენით გადაიჭრებოდა ხოლმე."

საინტერესოა, რომ მერის ორივე ბებია დადიანი იყო და ორივეს მარიამი ერქვა! ალბათ ამიტომაცაა მერის ნათლობის სახელი მარიამი!

ნინო მხეიძის დედა - მარიამი (მაკა)გახლდათ სენაკის სოფელ ქვაშიხორის და ნოსირის მემამულის, თავად კაცია დადიანის ასული.

მეორე ბებია-პროკოფის დედა- მარიამ მარიკა (1807-1861), იყო ასული ერთ დროს მთავრად ნამყოფი, თავად ტარიელ კაციას ძე დადიანისა, წალენჯიხის სოფელ ობუჯიდან, ხოლო პროკოფის მამა -ლევან(ბეგო) მეჰმედ ბეის ძე შარვაშიძე, პრაპორშიკი, ლევან დადიანის ნათლული, 1844 წელს ყუბანის მხარის მთიელებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა 43წლისა.

ობლად დარჩენილი 7 წლის სამსონი და



ოთხი წლის პროკოფი უმცროს და-ძმასთან ერთად როგორც ჩანს დედულეთში, წალენჯიხაში გაიზარდნენ, შემდეგ ორივე ძმამ წინაპართა მსგავსად სამხედრო კარიერა აირჩია: ორივემ პეტერბურგში დაამთავრა ცარსკოე სელოს ალექსანდრეს საიმპერატორო ინსტიტუტი და მიხაილოვის საარტილერიო სასწავლებელი;

პროკოფი 1866-1867წლებში მსახურობდა დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის კავკასიის გრენადერთა პოლკის არტილერისტთა ბრიგადის იუნკერად; შემდეგ1886წ მაისიდან იყო ყარსი- ალექსანდროპოლის ციხის არტილერიის კაპიტანი, მეხუთე ბატალიონის 17-ე როტის მეთაური. ხოლო პროკოფის უფროსი ძმა, 43 წლის სამსონი, პეტერბურგის სამხ. სასწავლებლის აღზრდილი, ყირიმისა(ყარსის) და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე(1877-1878), მრავალი ორდენის კავალერი,არტილერიის პოლკოვნიკი,რომელიც თავისი სიმამაცის, ჭკუისა და ენერგიის გამო იმსახურებდა უფროსებისა და ამხანაგებისგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას ბრძოლებში მიღებული ჭრილობებისაგან 1880წ გარდიცვალა.

რაც შეეხება მერის აფხაზურ წარმომავლობას; ხშირად ისმის კითხვა: რატომ იყვნენ პროკოფი და მისი შვილები სენაკში დაკრძალულნი და არა აფხაზეთში, ისინი ხომ აფხაზთა მთავრის შთამომავლები იყვნენ?

პროკოფის უფროსი ძმა- სამსონიც, სიცოცხლის ბოლოს ზუგდიდის მაზრაში მომრიგებელი შუამავლის მოვალეობის შემსრულებელი,1879 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, დაკრძალულია არა აფხაზეთში, არამედ საჩიჩუოში, ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ცნობილია, რომ მერის დიდი ბაბუა იყო შარვაშიძეთა საგვარეულოს მამამთავრის, ქელეშ ბეის ძე. მართალია, მან 1799წ. ისარგებლა რა სამეგრელოს სამთავროს იმერეთის მეფესთან გართულებული მდგომარეობით, ანაკლიის ციხე-სიმაგრე მიმდებარე ტერიტორიით დაიკავა და სამურყაზანოში აფხაზური მმართველობა თავის შვილს -პროკოფის ბაბუას - მეჰმედ ბეის(ხამუტ ბეი) უბოძა. ისტორიული ცნობებით მეჰმედ ბეი აფხაზეთში საერთოდ არ ცხოვრობდა, ცხოვრობდა ანაკლიაში და ჰქონდა განსაკუთრებული წილი იქ(ჩანს 1785-1805წლებში).

მაგრამ 1805 წლის გაზაფხულზე საფარბეის მმართველობის დროს მოეწყო სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში. რუსთა ჯარმა დაამარცხა ანაკლიის დამცველი ოსმალთა გარნიზონი და სამურზაყანო გადავიდა ისევ სამეგრელოს მთავრის მფლობელობაში. ამრიგად შარვაშიძეთა ბაბუამ და მისმა შთამომავლობამ დაკარგა მამისგან ბოძებული თავისი სამფლობელო.

იგივეს ადასტურებს რუსული მმართველობის მიერ შედგენილი, 1866 წლის 2 ივლისით, დათარიღებული დოკუმენტი(№ 40 გვ.129):აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შერვაშიძის გარე ნათესავების მიერ რაიმე ქონების ფლობის შესახებ კომისიის დასკვნაში წერია, რომ სამსონ, პროკოფი და სოფიო შარვაშიძეების უფლება აფხაზეთში სამემკვიდრო მამულებზე არ დასტურდება.

ამიტომაც არაა გასაკვირი რომ პროკოფი შარვაშიძე და მისი შვილები სენაკში დაიკრძალნენ, ხოლო სამსონი,ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ამრიგად, სიმონ და პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძეებს აფხაზეთში სამემკვიდრო მამულები არ ჰქონდათ, თუმცა, ისინი ფლობდნენ მდიდრულ მამულს აფხაზეთში(დაახლოებით 300 დესეტინა მიწას), რომელიც მათ სამხედრო დამსახურებებისათვის მიიღეს ან თავად შეიძინეს.

ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს 1898 წლის ჟურნალ „მოამბის" პირველ ნომერში დაბეჭდილ პუბლიკაციაში „აფხაზეთის ახალშენები", აღნიშნული ცნობა, რომ „თუ ვისმე ოდესმე აფხაზეთში უმსახურნია, ყველას და აგრეთვე თავადთ შერვაშიძეთ უმაღლესად ებოძათ საჩუქრად „ნადელები" ღირსებისა და ნამსახურობის მიხედვით".

იქვე ვკითხულობთ, რომ სიმონ და პროკოფი შარვაშიძეების კერძო მამული იყო სოფელ ბაგაჟ-იაშთაში, სადაც თამბაქო და სიმინდი მოჰყავდათ იქ 50 კომლად მცხოვრებ მეგრელ გლეხებს,

რომელთაც ამ სოფელში არც სკოლა ჰქონიათ და არც ეკლესია. ალბათ არც მდიდრული სასახლე იდგა მათ მამულში, რადგანაც ორივე ძმა სამხედრო მოსამსახურე იყო, ხშირად უწევდათ სამსახურეობრივად საცხოვრებლის გამოცვლა, ამიტომაც ნინო და პროკოფი შარვაშიძეების ოჯახი ქორწინების შემდეგ ძირითადად ახალ სენაკში ცხოვრობდა, ან ხანგრძლივად სტუმრობდა ამ პატარა ქალაქს.

დავუბრუნდეთ ისევ ნინო და პროკოფი შარვაშიძეების ოჯახის ისტორიას.

გავიდა დრო, 1889 წლის 17 ოქტომბერს ნინო მხეიძემ მეგრული ტრადიციის დაცვით, მშობლიურ სახლში, დედის მზრუნველობის ქვეშ მოილოგინა და ტყუპები მერი და ლევან შარვაშიძეები დაიბადნენ.

როგორც ახლახან აღმოჩენილი სენაკის საეკლესიო მეტრიკული წიგნის ჩანაწერიდან ირკვევა, ერთი თვის თავზე, 1889წლის 15 ნოემბერს ვაჟი, რომელსაც პროკოფის მამის სახელი დაარქვეს - ლევანი, გარდაიცვალა და 16 ნოემბერს სენაკის სოფ.ნატოჩაოს(ახლანდელი საკალანდარიშვილოს) გორაზე აღმართულ XIII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

ხოლო იმავე, 1889წლის 17 ოქტომბერს დაბადებული მერი, ექვსი წლის იყო უკვე, როცა 1895წელს მონათლეს ბათუმში, შესაბამისად მის სახელზე დოკუმენტი ამ წელს შედგა, რადგან ბავშვების დაბადებისა და ნათლობის (ასევე ქორწინებების, გარდაცვალების) აღმნიშვნელი საბუთი მხოლოდ საეკლესიო დავთრებში იწერებოდა. აქედანაა შეცდომა, თითქოს მერი დაიბადა 1895წელს, სწორედ ეს წელია მითითებული მის პარიზის არქივიდან ამოღებულ პირად მოწმობებში.

(გაგრძელება მე-7 გვ.-ზე)

რამდენიმე უცნობი ფაქტი გალაკტიონის მუზის – მერი შარვაშიძისა და მისი ოჯახის სენაკურ ისტორიაზე

(დასასრული)

2023წელს აჭარის არქივში აღმოჩენილი და აგვისტოს თვეში გამოქვეყნებული დოკუმენტი კი ბათუმში მარინის პროსპექტზე-(ახლანდელი აბაშიძის ქუჩა) მდებარე მიქაელ მთავარანგელოზის აწ უკვე დანგრეული ეკლესიის არქივიდანაა და იქ გაკეთებული საეკლესიო ჩანაწერით უეჭველად დასტურდება, რომ მერი(მარიამი) „ დაბადებული 1889 წლის 17 ოქტომბერს. მონათლულია 1895 წლის 5 დეკემბერს, მამა- მიხეილის ციხესიმაგრის არტილერიის პოლკოვნიკი, თავადი, პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძე, და კანონიერი ცოლი ნინა გრიგორის ასული შერვაშიძე, ორივე მართლმადიდებელი

მიმრქმელები: თავადი ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკი და მისი მაღალაღმატებულების, ოლდენბურგის უფლისწულის, მეუღლე გრაფინია აგრაფინა კონსტანტინეს ასული ჯაფარიძე-ზარნეკაუ. წმინდა ნათლობა აღასრულა ღვთისმსახურმა სიმონ თოთიბაძემ. დიაკვანი აპოლონ ქიქოძე და მედავითნე გაბრიელ დარჩია."

ამ დოკუმენტების გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ მერი მის ტყუპისცალ ძმასთან-ლევანთან ერთად დაიბადა ახალ სენაკში 1889 წლის 17 ოქტომბერს(ძველი სტილით). ერთი თვის ლევანი „გაცივებით" გარდაცვალების შემდეგ დაკრძალეს სენაკში,რაც დაფიქსირებულია ზემოთ წარმოდგენილ საეკლესიო დოკუმენტში. ხოლო მერის დაბადების თარიღი, იგივე 1889 წლის 17 ოქტომბერი ჩაწერილია მის მეტრიკულ წიგნში, ნების თარიღთან ერთად, მეტრიკული წიგნის ნათლობის დროს შევსებისას, 1895წელს. მერი რომ 1895 წელს არ დაბადებულა არაპირდაპირ ამასვე ადასტურებს ცნობილი ფაქტიც, რომ ის უფროსი იყო დებზე, ელენე და თამარზე, რომლებიც 1891წელს დაიბადნენ. აი, მოწმობა, რომლის მიხედვითაც 1891წელს შარვაშიძეების ოჯახში ისევ ტყუპები დაიბადნენ, ამჯერად გოგონები: ელენე და თამარი; რვა თვის ელენე მონათლეს სენაკში, სოფ. ქვედა თეკლათის მთავარანგელოზთა ეკლესიაში.მისი ნათლიები იყვნენ გვარდიის პოლკოვნიკი სენაკელი თავადი ოტია ელიზბარის ძე დადიანი და ფრეილინა მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა,

პროკოფი შარვაშიძის ძმისშვილი, ,,კნიაჟნა" ელენე(მომავალში გრაფინია სოლოგუბისა), სამსონ შარვაშიძისა და სალომე ჩიჩუას ასული.

მერი შარვაშიძის მეგობარი და უახლოესი პიროვნება - ბაბო დადიანი თავის ,,მოგონებათა დღიურში" წერს: მერი გარდაიცვალა 1986 წელს, დეკემბერში, 97 წლის ასაკში, ისევ წარმოუდგენლად მშვენიერი, სრულიად საღი გონებით და მეხსიერებით. მისი გარდაცვალების ამბავი შევატყობინე ჩვენს კათალიკოს-პატრიაქს, ილია მეორეს, რომელმაც გადაუხადა პანაშვიდი სიონის ტაძარში". ეს მოგონებაც გვაფიქრებინებს, რომ მერიმ და მისმა ახლობლებმა იცოდნენ, მერის დაბადების ზუსტი თარიღი.

1894 წელს უკვე ხუთი წლის იყო მერი, მამამისი, არტილერიის პოდპოლკოვნიკი, თავადი შარვაშიძე, აჭარაში, მიხაილოვის (ბათუმის) ციხე-სიმაგრის არტილერისტთა მე-2 ბატალიონის მეთაურად რომ გადაიყვანეს;

იმავე წელს დაიბადა ანა- შარვაშიძეების უმცროსი, მეოთხე ქალიშვილი; ბათუმში მოინათლა მერიც, რადგან ამ პერიოდში და კიდევ რამდენიმე წელი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა; 1900 წელს სამხედრო სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდებით გადადგომის შემდეგაც პროკოფი შარვაშიძე ბათუმის საქალაქო სათათბიროს წევრად იყო არჩეული.

მერი და მისი დები კი, ალბათ, შინ მღებული განათლების დასახვეწად ფოტოზე გამოსახულ ბათუმის ამ ქალთა გიმნაზიაში სწავლობდნენ.

1894-1898 წლებში, პრ. შარვაშიძე ბათუმის საქალაქო თვითმართველობის სათათბიროს წევრი იყო ხმოსანთა არჩევნების მე-2 ოთხწლეულში.

1900 წელს სამხედრო სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდებით გადადგომის შემდეგაც პროკოფი შარვაშიძე ჩანს, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული, რასაც შემდეგ წლებში მისი რუსეთის დუმის დეპუტატად არჩევა ადასტურებს.

სხვადასხვა ინფორმაციებით აქამდე ცნობილი იყო, რომ შარვაშიძეებს ჰყავდათ ხუთი შვილი: ლევანი, მერი(მარიამი), ელენე, თამარი და ანა; მაგრამ სენაკის საეკლესიო არქივში აღმოჩნდა საბუთი, მათი 1899 წელს დაბადებული მეორე ვაჟის - გიორგი პროკოფის ძე შარვაშიძის დაკრძალვის შესახებ.

მერის ძმა, ნაბოლარა გიორგი 1900 წლის აპრილის ბოლოს ერთი წლის ასაკში გარდაცვლილა და ისიც სენაკში სოფ.ნატოჩაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე დაუკრძალავთ, რაც ამ მეტრიკული წიგნით დასტურდება.

საფიქრებელია, რომ პროკოფი შარვაშიძე სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, 1900-დან 1906წლამდე ოჯახით საქართველოში, კერძოდ ახალ სენაკში ცხოვრობდა და აქედან ჰქონდა მერის სამშობლოს, დედულეთის და სანათესაოს სიყვარული. აი, ამონარიდი მისი ერთი წერილიდან რომელსაც ემიგრაციიდან ბიძაშვილებს - საშა და ვერა მხეიძეებს უგზავნიდა:

„თუმცა ბედმა მრავალი წლით დაგვაშორა, ძნელია გადმოგცეთ როგორ მიყვარხართ ყველანი და როგორ ენატრებით ჩემს სულს თქვენ და ჩემი სამშობლო. აქ ჩემთვის ყველაფერი უცხოა - ხალხიც,ქვეყნებიც და ჩემს დისშვილებზე შიში რომ არა, დიდი ხნის დაბრუნებული ვიქნებოდი თქვენთან..."

პროკოფი შარვაშიძე 1906-1907წლებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად ორჯერ იქნა არჩეული. ის იყო რუსეთის I (1906წ) და III (1907-1912წწ) მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სოხუმის ოკრუგიდან და ბათუმის ოლქიდან. ამიტომ XX საუკუნის ათიან წლებში შარვაშიძეების ოჯახი პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად,ამ დროისათვის თავადის ასული მერი უკვე 15-16 წლისა იქნებოდა.

პეტერბურგში მერიმ და მისმა დებმა საუკეთესო განათლება მიიღეს და თავიანთი წარმომავლობის წყალობით იმპერიის დედაქალაქის საზოგადოების მაღალ წრეებში ტრიალებდნენ.

რაც შეეხება, ,,კნიაჟნა" მერის, არაჩვეულებრივი სილამაზის, თანდაყოლილი არისტოკრატიულობის, განათლების, დახვეწილი მანერების გამო 1909 წელს იმპერატრიცა ალექსანდრა ფედოროვნას სასახლის ფრეილინების შტატში იქნა ჩარიცხული და 1916 წლამდე იმყოფებოდა პეტერბურგის სამეფო კარზე, სადაც სილამაზის, სინატიფისა და ქალურობის ეტალონად იყო აღიარებული.

ამ ფოტოებზე მერი შერვაშიძეა ფრეილინას მოოქროვილ ალუბლისფერ სამოსში და გულზე ბრილიანტის შიფრი - ფრეილინების ნიშანი ამშვენებს.

მერი და მისი დები იმპერიის დედაქალაქიდანაც რომ ხშირად სტუმრობდნენ სენაკს და ნათესავებს, იმ დროიდან შემორჩენილი ბ-ნ პაატა ქურდოვანიძის არქივიდან აღებული რამდენიმე ფოტო და ქალბატომ მარინა მხეიძე-დადიანის ეს მოგონებაც ადასტურებს:

„ახალ-სენაკში ულამაზესი ხეხილის ბაღითა და ყურძნებით დამძიმებული ზვრით გარშემორტყმული ჩვენი სახლი სანათესავოსა და სამეგობროსათვის მუდამ ღია იყო. მამაჩემის დედ-მამის - ბესარიონ მხეიძისა და ანეტა წერეთლის სტუმართმოყვარეობით განთქმულ ოჯახს არაერთხელ სწვევია და და სიძე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო პირი პროკოფი შარვაშიძე და მისი მეუღლე ნინო მხეიძე თავის ქალიშვილებთან მერისა და მის ტყუპისცალ დებთან თამარსა და ელენესთან ერთად.საოცარია, მაგრამ დიდი განსაცდელის მიუხედავად მაინც შემორჩენილია ჩვენს ბაღში XX საუკუნის ათიან წლებში გადაღებული სურათები, სადაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მერი უკვე გამოირჩევა სილამაზითა და მომხიბლველობით."

მხეიძეების ბაღში ამ ფოტოზე მერის დებთან ერთად მათი და მერის უახლოეს ნათესავს(დეიდას შვილიშვილს), თამარ მიქელაძეს ვხედავთ, ევგენი მიქელაძის დას, რომელიც ახალ სენაკში რუსულის მასწავლებლად მუშაობდა.

ეს კი უიშვიათესი ფოტოა, რადგან მასზე უახლოეს ნათესავებთან ერთად, ბატონ პაატა ქურდოვანიძის მიერ ამოცნობილია მერი(დგას შუაში თეთრი კოფტით), მერის წინ შავი ქუდით მისი და თამარ ზარნეკაუ და მერის დედა - ნინო გრიგოლის ას. მხეიძე .

1914 წლის დეკემბრის ბოლოს სენაკში, გადმოცემით ნინოს ძმის- ბესარიონ მხეიძის სახლში, ავადმყოფობის შემდეგ (ჩანაწერის მიხედვით ფილტვების ანთებით) 75 წლისა გარდაიცვალა თავადი პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძე (1840-1914).

სენაკის საზოგადოებამ პატივი მიაგო რუსეთის იმპერიის გენერალ მაიორს, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილეს, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატს აფხაზეთიდან და ბათუმის ოლქიდან, ბათუმის საქალაქო დუმის წევრს, არაერთი ორდენის კავალერს,მათ შორის „წმ. გიორგის" IV ხარისხის ორდენისას, პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძეს.

დაბის ცენტრში არსებულ ახალსენაკის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, იქ, სადაც წლების წინ მან ჯვარი დაიწერა ნინო მხეიძეზე, გარდაცვლილს წესი აუგო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ, არქიმანდრიტმა არისტარხო კალანდარიშვილმა, სენაკის სამღვდელოებამ და შემდეგ დაკრძალულ იქნა სოფ. ნატოჩაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანში, თავისი ვაჟების გვერდით.

ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ შარვაშიძეები: მერი, მისი დედა და ორი და, ქუთაისში, დათეშიძის გორაზე ნინოს ძმის -ბესარიონ მხეიძის სახლში დაბინავდნენ.

ამბობენ, სწორედ აქ ნახა გალაკტიონმა „თავისი" მერი, ალბათ მაშინ დაწერა ლექსი, რომელიც 1915წელს, სწორედ მერის პეტერბურგიდან დაბრუნების წელს დაიბეჭდა და პოეტისთვის და ამ შედევრის ადრესატისათვისაც წინასწარმეტყველური გამოდგა: 1918 წლის 24 ნოემბერს მერი შარვაშიძემ ქუთაისში წმ.გიორგის სახელობის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ყოფილ ადიუტანტზე, ქართული არმიის გენერალ-მაიორზე, ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მეცენატის, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებლის, დავით სარაჯიშვილის დისშვილზე, გიორგი (გიგუშა)ნიკოლოზის ძე ქსნის ერისთავზე და შემდეგ ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა.

როცა თვალს გადაავლებ ზემოთ მოთხრობილ ამბებს და ხედავ, რომ ამდენი რამ აკავშირებდა ჩვენს პატარა ქალაქ სენაკთან შარვაშიძეების ოჯახს, ჩნდება განცდა, რომ მერი არა მარტო დაიბადა აქ, პეტერბურგში წასვლამდე ძირითადად ახალი სენაკი იყო მისი ცხოვრების ის ნაწილი, სადაც შეითვისა მან ქართული სული, წესი და ტრადიციები, ამიტომაც ხანგრძლივად სტუმრობდა თავის ოდაბადეს, მითუმეტეს, რომ აქვეა მერის მამის და ძმების ძვალთშესალაგიც.

თუმცა, ბედის უკუღმართობით უკვე დაოჯახებული მერი შარვაშიძე-ერისთავისა, მისი დედა და დები ემიგრაციაში უცხო მიწამ მიიბარა. საფრანგეთში, სენტ ჟენევიევ დე ბუას სასაფლაოზე საფლავის ქვაზე წარწერა გვამცნობს, რომ აქ განისვენებს ცოლ-ქმარი გიორგი და მერი ერისთავები და აქვეა დაკრძალული მერის დედაც, ერთ დროს სენაკის წარჩინებული ოჯახის შვილი „კნიაგინია" ნინა გრიგოლის ასული მხეიძე-შარვაშიძისა (გარდ.1950).

მიუხედავად იმისა, რომ სენაკის სოფელ ნატოჩაოს, ახლანდელ საკალანდარიშვილოს წმ.გიორგის სახელობის ეკლესია ისევ მოქმედია, წირვა-ლოცვა ისევ აღევლინება, ახლა უკვე ძნელია შარვაშიძეების აქ დაკრძალულთა საფლავების პოვნა, თუმცა, ვინ იცის...

ვწერდი ამ სიტყვებს და ვერც წარმოვიდგენდი, ამდენი წლის მიღმა დაკრძალულთა უკვე დაკარგული საფლავების პოვნის სულ მცირე შესაძლებლობაც თუ იქნებოდა. მაგრამ გასაკვირი და ამოუცნობია უფლის ნება: ამ სიტყვების დაწერიდან რამდენიმე თვეში კიდევ ერთი საოცარი აღმოჩენის მოწმენი შევიქენით: ცნობილი გახდა გალაკტიონის მუზის-მერის მამის, გენერალ მაიორის, დუმის სათათბიროს დეპუტატის, არაერთი ორდენის კავალერის პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძისა და მისი მცირეწლოვანი ძმებისლევანისა და გიორგის საფლავები, უფრო ზუსტად, ადგილი, სადაც იყვნენ დაკრძალულნი. ესაა სენაკელ თავად მხეიძეთა ძველი საგვარეულო სასაფლაოს ტერიტორია, სენაკის საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე, იქვე ახლოს, სადაც განისვენებს 1903წელს გარდაცვლილი, სენაკის თავადაზნაურთა წინამძღოლი, პოლკოვნიკი, თავადი ფარნაოზ დავითის ძე მხეიძე(1839–1903) და მერის ბიძა - ისიც მომდევნო წლებში ასევე სენაკის თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი დიმიტრი გრიგოლის ძე მხეიძე(1855-1907).

პიროვნება, ვინც ამ უაღრესად საინტერესო და საჭირო აღმოჩენაში დაგვეხმარა, გახლავთ ჩვენი თანაქალაქელი, ექიმი, ბატონი ოთარ გვიჩია.

როგორც ბატონმა ოთარმა გვიამბო და გვიჩვენა, მხეიძეების საგვარეულო საფლავებთან ახლოს განისვენებენ მისი წინაპრებიც, აქვეა ბატონი ოთარის მამის-ფარნაოზ(ბიჭუნა) გვიჩიას საფლავიც, ადამიანის, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უვლიდა და პატრონობდა შარვაშიძეების განსასვენებელს, ყოველ დღესასწაულზე ახლო ნათესავივით აღასრულებდა რელიგიურ რიტუალს და მოიხსენიებდა აწ უკვე მომკითხავების გარეშე დარჩენილთ.

ბაბუებისა და მამისგან გადმოცემული ამ ტრადიციის გამგრძელებელია ბატონი ოთარიც და მისი დამსახურებით დღეს უკვე ვიცით და გვინდა ყველას ვამცნოთ სადაა ჩვენი ისტორიული წინაპრების ძვალთშესალაგი.

ამიტომაც შარვაშიძეების საძვალის აღმოჩენიდან სულ მალე საზოგადოებრივი გაერთიანება „ჩვენი სენაკი"-ს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ამ მნიშვნელოვანი თარიღების და ადგილის აღმნიშვნელი მემორიალური სტელის გაკეთებისა და დადგმის სურვილი.

ბატონ ედიშერ ბაღათურიას, ოთარ გვიჩიას, პაატა ქურდოვანიძის, იგორ კეკელიას, ნუცა ჟვანიას, ზურა სანაიას, თემო კუბეციას, შოთიკო ყურუას, ამ სტრიქონების ავტორის მონდომებითა და ენთუზიაზმით და მამა ავგუსტინე დუნდუას ლოცვა-კურთხევით აღსრულდა კიდეც ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი და დღეიდან ქალაქ სენაკში, საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე, მხეიძეთა საგვარეულო სასაფლაოს მიმდებარედ დაინტერესებულ პირთ შეეძლებათ იხილონ მოკრძალებული მემორიალური სტელა წარწერით, რომ აქ განისვენებენ უმშვენიერესი მერი შარვაშიძის მამა და ძმები: პროკოფი ლევან და გიორგი შარვაშიძეები.

ვწერ ამ სიტყვებს და გული მწყდება, მერისა და მისი ოჯახის უცნაურ ბედზე, რომ არა ისტორიის უკუღმართობა, რომ არა ემიგრანტული ცხოვრებით შეჭირვებული ყოფა, როგორ დაამშვენებდნენ ისინი ჩვენს პატარა ქალაქს თავიანთი უზადო განათლებითა და ევროპელთათვის შესაშური სილამაზითა და დიდებულებით.

ერთგვარ ნუგეშად და სიამაყის საფუძვლად ისღა გვრჩება, რომ მერი შარვაშიძის, დიდი გალაკტიონისა და ცნობილი მხატვრების მუზის ფესვები ჩვენს მშობლიურ სენაკშია და ვინ იცის...კიდევაც დაიზრდებიან...!

ციცინო ყურაშვილი,
მკვლევარი

სამეგრელოს უხუცესთა საბჭო

უხუცესთა საბჭოს ფენომენი ოდითგანვეა ცნობილი. ჯერ კიდევ საბერძნეთსა და რომში უხუცესთა საბჭო წყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფოში . იგი უმაღლეს სათათბირო და სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც განიხილავდა გადაწყვეტილებათა პროექტებს სახალხო კრებაზე გატანამდე და სისხლის სამართლის საქმეებს აკონტროლებდა.

ამ კუთხით კავკასია და საქართველო გამორჩეულია.

დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს სახელმწიფოს ცენტრალურ აპარატში მწიგნობართუხუცესჭყონდიდელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მისი როლი და ფუნქცია შეიძლება ითქვას გადამწყვეტიც იყო.

ხევსურეთში, ხევისბერი გახლდათ წინამძღოლი, არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მასვე ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა. ფშავში თავხევის¬ბერს ეკითხებოდნენ სათემო საქმეებს. ის ლაშქარს დროშით და ჯვრით აფიცებდა და წინ მიუძღოდა საომრად მიმავალს.

პანკისელი უხუცესები დღემდე მრავალ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში არიან ჩართულნი , ისევე როგორც აფხაზეთში მოქმედი უხუცესები. სვანი მახვშების სიბრძნის შესახებაც ბევრი რამ გახლავთ ცნობილი.

თავიანთი ღვაწლით გამორჩეულნი არიან აფხაზეთში მოქმედი უხუცესები.

სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს დამფუძნებელი კრება მარტვილში ჩატარდა გაერთიანებულია 70 წელს გადაცილებული, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაბრძენებული ადამიანები. რომელთაც ცხოვრებისეული და ინტელექტუალური გამოცდილებით შეუძლიათ კვლავაც იყვნენ და შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი სამეგრელოს და საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ.

მხცოვანი ადამინები (ოდიშელები) გახლავთ საქართველოს სიყვარულით გულანთებულები, რომელთა მთავარი მახასიათებელია სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ მშობლიური მხარის ტრადიციების, ადათ -წესებისა და კოლხური ფენომენის ერთგულნი.

დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა ,, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს " საქმიანობის მიზნები და ამოცანებია. ის მოიცავს ქართული, მეგრული ადათ -წესებისა და ტრადიციების დაცვას. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას, მეგრული ენის პოპულარიზაციას.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მეგრული ეროვნული ტანსაცმლის, ფოლკლორის, პოეზიის, კერძების, ტრადიციული სასმელების ფართე მასებისთვის გაცნობას .

მნიშვნელოვან საკითხებს შორის მთავარია: აფხაზ უხუცესებთან დიალოგი და შექმნილი მდგომარეობის დათბობისთვის ზრუნვა.

სამეგრელოს უხუცესები ფიქრობენ, რომ აფხაზ უხუცესებთან ერთად შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, ერთობლივად შეიმუშავონ მოქმედების პროგრამა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს ურთიერთ ნდობის ამაღლებამდე და შერიგებამდე მიიყვანს. ასევე მიაჩნიათ, რომ უცხო ძალის პოლიტიკამ ქართველი და აფხაზი ხალხები საერთო ტრაგედიასა და ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვამდე მიიყვანა.

უხუცესთა საბჭო გეგმავს, საქართველო და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლაში მონაწილეობას. ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში მეგრული კულტურის ამსახველი მასალების მოძიებას და სხვა.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი საკითხებისა რომელზეც იმსჯელეს დამფუძნებელ შეკრებაზე.

დამფუძნებელმა კრებამ ,,სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს" თავმჯდომარედ აირჩია, შესანიშნავი ორგანიზატორი, საქართველოს გამორჩეული წარმომადგენელი ,.პოლიტიკოსი და აქტიური საზოგადო მოღვაწე, ფრიდონ ინჯია აირჩია.

შეკრებამ დაამტკიცა თავმჯდომარის მოადგილეები და საზოგადოების დირექტორი.

ბორის დავითაია

მწერალი, პუბლიცისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრი

ხსოვნა

ვალერიან პაჭკორია

ვალერი პაჭკორია თავისი ბიოგრაფიითა და ყოფითი წესჩვეულებებით ჭეშმარიტი ინტელიგენტის სახეს ქმნიდა. ღრმა აზრიან, შორეულ მომავლისათვის გათვლილ ღირებულებებს ამკვიდრებდა. იღვწოდა ოჯახისთვის, შვილებისათვის.

ვალერიან პაჭკორიამ უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ მთელი თავისი ნიჭი, უნარი მოზარდი თაობის სწავლება-აღზრდის საქმეს მოანდომა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სენაკის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში, ამავე სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, ნატოჩაოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, კერძო სკოლა ,,ალბიონის" დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში.

გამორჩეული, ტრადიციული ოჯახის თავკაცი ოჯახური ღირებულებების ერთგულებით ზრდიდა შვილებს ირმას და ცირას. შვილიშვილებს ანდრიას, ანასტასიას, დემეტრეს ბებია ინეზა, დედა და დეიდა უყვებიან ბაბუს გულმოწყალებაზე, მოყვასისადმი უანგარო ერთგულებაზე.

შთამომავლებმა იციან, რომ ვალერიან ბაბუა მრავალმხრივი ადამიანური თვისებებით სხვებისგან გამორჩეული იყო. მაგრამ ეს გამორჩეულობა მას არ უშლიდა ხელს ყოფილიყო ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, უღალატო, უშურველი, ჰქონდა დიდი უნარი დაენახა და შეეფასებინა სხვისი ღირსება, რაც დღევანდელ ყოფაში იშვიათი მოვლენაა.

სენაკში, სახლში მის სამუშაო მაგიდაზე ხელუხლებლად აწყვია ვალერიანის ავტორობით გამოცემული, წიგნად აკინძული ლექსები, ჩანახატები, ბრძნული შეგონებები. ესათუთება მეუღლის ხსოვნას ქალბატონი ინეზა.

5 თებერვალი ვალერიანის დაბადების დღეა. 88 წელი შეუსრულდებოდა, ის ვერაგი სიკვდილი რომ არა, ბევრს შეძლებდა ოჯახისთვის, საზოგადოებისათვის, მრავალრიცხოვანი აღზრდილებისათვის.

ღირსეულო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ, იმიერში გილოცავთ დაბადების დღეს, გვჯერა გვიცავ მარადიული სამყოფლიდან, მუდამ გვემახსოვრები, დაგინთებთ თაფლის სანთლებს და შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

ოჯახი

მურთაზ ჯიჯიხია

28 იანვარს დაიბადე და 19 იანვარს გარდაიცვალე(ნათლისღების დღეს).

ოჯახის თავკაცის გარდაცვალება მტკივნეული და უდიდესი დანაკლისი და დასანანია ჩვენთვის.

გვიჭირს უშენობა შენი მზრუნველობით განებივრებულ მეუღლესა და შვილებს, თეასა და ზაზას, შვილიშვილებს, შვილთაშვილს.

3 წელი შესრულდა შენი გარდაცვალებიდან. ყოველ დღეს დიდი ტკივილი და მონატრება ახლავს თან. ვიხსენებთ შენს სიკეთეს, გულისხმიერებას, თბილ დამოკიდებულებას ოჯახის წევრებისადმი. ყურადღებიანი იყავი ყველას მიმართ, სანათესაოსა და მეგობრებში. ჩვენ ვამაყობთ შენი სახელით. ოჯახისათვის მტკიცე საყრდენი იყავი, ქმნიდი სულიერ და მატერიალურ დოვლათს, ბევრი სასიკეთო საქმე გაგიკეთებია.

იყავი მზრუნველი მამა, მოსიყვარულე ბაბუა და დიდი ბაბუა. შვილიშვილები: ანა, ლიზი, ნინი, ანდრია, შვილთაშვილი ილია, რძალი ნანა, სიძე დათო, ყველანი სათუთად შეინახავენ შენს ხსოვნას გულში.

საინტერესო, თავაზიანი, მოკრძალებული პიროვნება იყავი ყველა თაობის ადამიანისთვის.

მურთაზ, გწამდეს, მარად იცოცხლებ ჩვენში... ფიქრებში... მოგონებებში

იყავი ნათელში, ჩვენს გულებში მუდამ იქნები, მოგიგონებთ და ვილოცებთ შენთვის.

ოჯახი

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის

ქეთევან გეგენავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი ხურცილავას დედის

ლენა ვახანია-ხურცილავას

გარდაცვალების გამო

კ რ ო ს ვ ო რ დ ი : მე მიყვარს სენაკი

შეავსეთ ცარიელი უჯრები სენაკის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების, უბნების დასახელებით, ისე რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ მე მიყვარს სენაკი



შეადგინა მაია გერგაიამ

ძვირფასო სენაკელებო!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ ,,კოლხეთზე".
გთხოვთ გამოიწეროთ რაიონის მემატიანე გაზეთი

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33